# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— შაბათი, 8 ივლისი 1900 წ. № 1174

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

საზაფხულო თეატრი და ბაღი

(მიხეილის პროსპექტი)

**საქველ-მოქმედო წარმოდგენა**

კვირას, 9 ივლისს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

**ძუნწი**

კომედ. 2 მოქ. გ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ.ქ. ნებიერიძე, ვაშაკიძე; ბ.ბ. აბაშიძე, სეიმონიძე, გუნია, ურუშაძე, ჯაჯანაშვილი, და სხვ.

ბუნდოვანი სურათები **ვეფხის ტყაოსანი** ნაჩვენები იქმნება გამოჩენილი მოგზაური **ჯან მორისისაგან**.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 9 საათზე.

(2—1) რეჟისორი გ. აბაშიძე.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**6 ივლისს**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარული დეპეშა გუბერნატორებს, 5 ივლისიდან: „რადგანაც ციმბირის რკინის გზით ჯარები გადაჰყავთ, უმაღლესად ნაბრძანებია, შეჩერებულ იქმნას გადასახლებულთა მოძრაობა ციმბირისაკენ. ამიტომ გთხოვთ ნუ მისცემთ ნურც მათ და ნურც მათ მეთაურებს (ХОДОКИ) მოწმობებს და თვალ-ყური ადევნეთ ნება დაურთველად არავინ წავიდეს; ამასთანავე აუხსენით გლეხებს გადასახლების შეჩერების ნამდვილი მიზეზი. ვისაც ნებართვა აღებული აქვს, ურჩიეთ მოცდა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გზაში გაჩერება მოელისთ. გარდა ამისა, 10 ივლისიდან ახალ განკარგულებამდე გადასახლებულთათვის არსებული შეღავათიანი ტარიფი აღარ იმოქმედებს. იმ გლეხებისათვის, რომელთაც ეხლა უთავდებათ ციმბირში მიწების დაჭერის ორი წლის უფლების ვადა, ერთის წლის ვადა კიდევ მიეცემათ“.

ჩინეთის რკინის გზის ინჟინერის პოტროვსკის დეპეშა დონიდან, 3 ივლისს: „28 ივნისს, ინჟინერი ბოჩაროვი 800 ფურგონით, 3000 მუშით და ყველა მოსამსახურე პირებით გამოვიდა ხანგანიდან, რკინის გზის დარაჯების მფარველობით და მოვიდა სადგურ იაკშიმდე, რომელიც მდებარეობს 310 ვერსის მანძილზე რუსეთის საზღვრიდან. აქ ხიდი გააკეთა, გაიარა ზაიდამის ახლო და ცურუხაიტუში უნდა მოვიდეს, როგორც ვფიქრობ, 6 ივლისს. რკინის გზის მე-5 ნაწილის უფროსი ოფენბერგი, როგორც ისმის, იმყოფება ორი დღის სავალზე და მოდის აქეთ ნელ-ნელა, რადგანაც მასთან ერთობ ბევრ მუშებს მოუყრიათ თავი (6000 კაცი). ინჟინერ იუგოვიჩის არა ისმის-რა“.

ჩინეთის რკინის გზის მეორე ნაწილის უფროსის—რიჟოვის დეპეშა დონოდან, 3 ივლისს: „ჩემ ნაწილში მოსამსახურეთა და რუს მუშათა უმრავლესობა მშვიდობით მოვიდა 30 ივნისს ძველ-ცურიხაიტუიში და ეხლა დონისაკენ მოდიან. უმცირესობა წამოსულა რუსეთის საზღვრისაკენ აბაგაიტუიში და უაილასუტაიში; ამათზე არა ვიცით-რა. მუშების ერთი ნაწილი, რომელიც ტყეში მუშაობდა, ჯერ არ მოსულა. არ სჩანს ზედამხედველი პერმიკინი, რომელიც 28 ივნისს რემონტზე იყო და რომელზედაც ჩინელები ამბობენ, რომ მოკლულიაო. მესამე ნაწილიც მშვიდობით მოვიდა ახალ-ცურუხაიტუიში. მონგოლებმა მოჰკლეს რამდენიმე რუსის მუშა; საზოგადოდ კი ჩვენ მოხელეებს და მუშებს ჯერ დაუბრკოლებლივ უშვებენ სადგურ ხაილართან, სადაც თავმოყრილია ჩინელებისა და მონგოლების ჯარები 4 ზარბაზნით. ტელეგრაფის მავთულები 28 ივნისს შეწყვეტილ იყო. საწყობები და სახლები სადგურ ხაკზე და ჯარმეთში გაძარცვული და გადამწვარია, სადგურ საილარზედაც მოხდა მცირე გაძარცვა.“

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „ამურის ოლქი, ხაბაროვსკის ოლქის პირველი ნაწილი, უსურიის, ყაზახების, ქვემო უსურიის, ზღვის პირი ოლქები, აგრეთვე ქ.ქ. ბლაგოვეშჩენსკი, ხაბაროვსკი, ნიკოლაევსკი და ვლადივოსტოკი სამხედრო წესზე არიან დაყენებული ამურის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით.

**ბერლინი.** გერმანელ კრეისერთა ესკადრის უფროსი ტაკუდან დეპეშით იტყობინება 2 ივლისს, რომ 30 ივნისს, დილით, 12 რუსის როტამ, 2-მა გერმანელებისამ, 2-მა რუსის ბატარეიამ და ერთმა ფრანგებისამ აიღეს ჩინელების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი პოზიცია, წაართვეს ჩინელებს 12 ზარბაზანი და ააფეთქეს 2 თოფის წამლის საწყობი. როგორც რუსის გენერალი იტყობინება, გერმანელების ავანგარდმა დიდი სამსახური გაუწია ჯარებს; ამავე დროს ამერიკელების სამმა ბატალიონმა, 700 ინგლისელებმა, 2000 იაპონელმა, 200 ფრანგმა და 50 ავსტრიელთა იერიში მიიტანეს დასავლეთი მხრიდან არსენალზე და ქალაქის იმ ნაწილზე, რომელიც ჩინელების ხელშია. ბრძოლა გაგრძელდა საღამომდე, და ზარალიც მეტად დიდი იყო. ჩინელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გასწიეს. საღამოს 9 საათზე მოქანცულ ევროპიელთა ჯარებმა უკან დაიხიეს; ღამე მათ მიემატათ გერმანელების 2 როტა. სულ ევროპიელებმა დაჰკარგეს 775 კაცი. როგორც შემდეგ დეპეშით იტყობინებიან, 1 ივლისს ევროპიელებმა აიღეს ჩინელების პოზიცია ქალაქი, ციტადელი და 72 ზარბაზანი. დაწვრილებითი ცნობები ამ ბრძოლის შესახებ ჯერ არ მოსულა.

ესკადრის უფროსი 3 ივლისს დეპეშით იტყობინება, რომ მატარებლების წესიერი მიმოსვლა ტაკუსა და ტიანცძინს შუა დაიწყება 5 ივლის. ჯარების უფროსებმა გადასწყვიტეს დატოვონ გზა რუსების ხელში, სანამ შესაძლებელი არ იქნება, გადაეცეს იგი წინანდელ ადმინისტრაციას. ინგლისის ადმირალი თხოულობდა, რომ ეხლავე გადაეცათ გზა ამ ადმინისტრაციისათვის. რუსებმა შეაერთეს გზა და დაიკავეს იგი.

**კონსტანტინეპოლი.** ქალაქ ბეირუტში იყო ხუთი შემთხვევა შავი ჭირის მსგავსი ავადმყოფობისა. დადგენილია 10 დღის კარანტინი ბეირუტიდან მოსულთათვის.

**ლონდონი.** სეიმურის ტელეგრამმა 2 ივლისიდან: მოკავშირეთა ჯარებს ტიანცზინზე იერიშის მიტანის დროს გადახდათ სასტიკი ბრძოლა, რომელიც 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა. 1-ლ ივლისს, დილით, იაპონელებმა ააფეთქეს კარები და შეცვივდნენ ქალაქში; ამათ სხვა ჯარებიც მიჰყვნენ. ქალაქი და სიმაგრეები აღებულია. რუსებმა, რომელნიც მარჯვენა მხარეზე იყვნენ, აიღეს 12 ბატარეია წვრილი ზარბაზნებისა. დანარჩენი ჯარები მარჯვნივ იბრძოდნენ. სულ ევროპიელ ჯარის კაცთა რიცხვი 8000 აღიოდა. ზარალი—700 კაცი დახოცილი და დაჭრილია. ყველაზე მეტი იაპონელებმა დაჰკარგეს. ინგლისელებს მოუკლეს 20 და დაუჭრეს 93. ჩინელების ჯარი აქეთ-იქით დაიფანტნენ.

**ვაშინგტონი.** სეულიდან ამერიკის ელჩი იტყობინება, რომ კორეის საზღვრების ახლო დგანან „მოკრივენი“ და ჩინელი ჯარები. შეშინებულნი მკვიდრნი გარბიან; უცხოელებს საშიში ჯერ არა სჭირთ-რა, თუმცა კორეის მთავრობა დიდ ზრუნვაშია.

**ლონდონი.** რობერტსი 4 ივნისს დეპეშით იტყობინება: „გუშინ ბურებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ჩვენი ჯარების მარცხენა

მხარეზე; რამდენჯერმე სცადეს ჩვენი პოზიციების აღება. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. მსროლელებს მტერმა წინადადება მისცა, დაეყარათ იარაღი, მაგრამ ირლანდიელი მსროლელები და სახალხშენო ჯარები მამაცად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს. ბურების ზარალია — 15 მოკლული, 50 დაჭრილი და 4 ტყვედ წავიყვანეთ. ჩვენ მოგვიკლეს 7, დაგვიჭრეს 29 და 23 დაგვეკარგა. ხუთასმა ბურმა 5 ზარბაზნით გაარღვიეს რენდლისა და გენტერის ბრიგადების კორდონი ბეთლემსა და ფიქსბურგს შუა და გაემართნენ ლინდლეისაკენ. მათ უკან დაედევნენ პეჯეტისა და ბროდვურდის ბრიგადები.

**შერბურგი.** აქ მოვიდა ლუბე; ხალხი კარგად დახვდა.

**ბრიუსსელი.** ბელგიის კონსული შანჰაიდან იტყობინება, რომ უცხოელებმა, როგორც ჩინური წყაროები იუწყებიან, თავშესაფარი იშოვეს პრინც ჩუინის სასახლეში.

**პეტერბურგი.** კონტრ-ადმირალი სკრიდლოვი ინიშნება დიდი ოკეანეს ესკადრის უფროსად.

**პეტერბურგი.** 6 ივლისს კრასნოსელსკის სამხედრო მინდორზე იყო უმაღლესი აღლუმი, სპარსეთის შაჰის თანადასწრებით. აღლუმის გათავების შემდეგ ჯარები გაბედნიერებულ იქმნენ მეფის მადლობით. ხელმწიფემ მიულოცა გვარდიელთა მსროლელ მე-2 ბატარეას შორს აღმოსავლეთში წასვლა. ბატარეასთან გამომშვიდობების დროს, ხელმწიფემ უსურვა ჯარს მშვიდობიანი გზა და უვნებლად დაბრუნება.

5 ივლისს, საღამოს, პეტერგოფის დიდ სასახლეში გამართულ იიყო სპარსეთის შაჰის პატივსაცემლად უმაღლესი სადილი.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 3-დან 4%-მდე.

**შანჰაი.** 5 ივლისს ჩინეთის ოფიციალურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ტიანცზინთან ბრძოლაში მოუკლავთ გენერალი ნიე. უცხოელების ქონება შანდუნის პროვინციაში მოუსპიათ. გუბერნატორის იანშინამის ჯარებს დიდათ დაუმარცხებიათ გენერალ ტუნფუზიანის ჯარი ციანზჯოუსთან, ტიანცზინის სამხრეთით, ჩჟილისა და შანდუნის საზღვრების ახლო.

**ჩიფუ,** 2 ივლისს. მდგომარეობა ნიუჩუანში მეტად საფიქრებელია: სამოც ათი ყაზახი მოთავსებულია ქალაქში, ხოლო კიდესთან სდგას ორი იაპონიისა და ერთი რუსეთის ხომალდი, „დიდმა მუშტმა“ შემოავლო ქალაქს ალყა.

**შანჰაი,** 5 ივლისს. ნანკინის ვიცე კოროლმა ახალ განკარგულებამდე უფროსი საზღვაო დამოქნის ინსპექტორობა მიანდო კომისარს თეიდორს.

**შანჰაი,** 4 ივლისს. 30 ივნისიდან პეკინში საქმის მდგომარეობის შესახებ არავითარი ამბავი არ მოსულა. უცხოეთისა და ჩინეთის გაზეთების საშუალებით ვრცელდება, რასაკვირველია, ბევრი ისეთი ხმები, რომელნიც ჰბადავენ დიდ შიშს, მაგრამ რკინის გზის დირექტორის შენისაგან, რომლის საშუალებითაც შეგვიძლიან ჩვენ მივიღოთ ცნობები, არა არის-რა მიღებული გარდა იმისა, რომ დაიწყო არეულობაო.

**ჩიფუ.** ამერიკის კორრესპონდენტი იუწყება, რომ პეკინში მყოფი უცხოელები 23 ივნისს გამოვიდნენ საბრძოლველად სიმაგრეებიდან, შემდეგ ამისა მათ დაუშინეს ზარბაზნები, მაგრამ 26 ივნისიდან იმყოფებიან უშიშარ ადგილას. ხმაა, ვითომ იმპერატორი მოკლეს და პრინცმა ტუანმა დაიჭირა ტახტი. გენერალი ნეი, რომელიც უცხოელთ გამოექომაგა, იძულებული იყო თავი მოეკლა. გერმანიის საფოსტო გემმა მოიტანა ამბავი, რომ 24 ივნისს პეკინში მყოფი უცხოელნი ისევ ცოცხალნი იყვნენ.

**შანჰაი.** ოფიციალურად. უცხოელ ქალებს და ყმაწვილებს მისცეს წინადადება წავიდნენ ნავთსადგურიდან. იანცზში, პოიაპნოსიტბაზე, ნიუცზინის ახლო, ასტყდა ამბოხება; რამდენიმე მისსიონერები მოკლეს, ეკკლესიები დაწვეს, ტელეგრაფის მავთულები დაწყვიტეს ხანკოუსა და ნიუცზინის შუა.

**პეტერბურგი.** უმთავრესი შტაბიდან მიღებული ცნობებიდანა სჩანს, რომ რუსების მოსახლეთა მდგომარეობა ხარბინში და იქიდან სამხრეთისაკენ, რომელნიც მოწყვეტილნი არიან აჯანყებულ-ჩინელთა მიერ, შეუცვლელია. ამ ჟამად საქმე ისეა დაყენებული, რომ შეუძლებელია რაიმე მოულოდნელი ამბავი. ამასთანავე იუწყებიან, რომ რაზმები, რომელნიც სდგანან მდინარე სუნგარის პირას და რომელთაც სარდლობენ გენერალი ალექსეევი, გენერალ-მაიორი ჩიჩაგოვი და გენერალი ორლოვი — წავიდნენ ომში, და ყველა განკარგულებანი ისე მსწრაფლად იქმნენ შესრულებულნი, რომ ჩინელები ამას არ მოელოდნენ. საზოგადო სარდლობა მიენდო გამოცდილ გენერალ-ლეიტენანტს გრუბსკის, ხოლო თანაშემწედ მას დაუნიშნეს გენერალ-მაიორი სუბბოტიჩი, რომელსაც უმეტესი ნაწილი სამსახურისა გაუტარებია აზიაში და ეხლა პორტ-არტურში შტაბის უფროსად არის.

**ბერლინი.** კრეისერის ესკადრის უფროსი იუწყება ტაკუდან 3 ივლისს შემდეგ ცნობას უზედომისას: 30 ივნისს ტიანცზინის ჩინეთის ნაწილი ძლიერ იმაგრებდა იაპონელთა, ინგლისელთა და ამერიკელთა იერიშს. აღმოსავლეთ მხარეს იბრძოდნენ 1 ივლისს რუსები ჩინელთა ბანაკის ასაღებად, 2 ივლისს ჩინეთის ციხის სიმაგრეებზე რუსების ბაირაღები ფრიალებდა. ამით გათავდა ქალაქის დაპყრობა. 30 ივნისის ბრძოლის შესახებ უზედომი იუწყება. იერიშის ერთის საათის შემდეგ მე ვიყავ ალექსეევის უმთავრეს ბინაზე. გერმანიისა და რუსეთის ჯარების ახლო, ექვსასი მეტრის მანძილზე, მოხდა საშინელი აფეთქება, ასე რომ ბევრი წაიქცა, ხოლო ფრანგების სამთო არტილლერის ჯარები გაიქცნენ. მხოლოდ გენერალი სტესელი დაიჭრა ცოტათი, მაგრამ ერთის საათის შემდეგ ისევ ჰსარდლობდა ჯარს. იმან სთქვა, რომ არას დროს არ უნახავს გერმანიის მატროსებზე უკეთესი ჯარის კაცნი. სტესელი საუცხოვოდ სარდლობდა ტიანცზინის გარშემო რუსეთისა და გერმანიის შეერთებულ ჯარს. გერმანელებს ცოტა მიეცათ ზარალი, რადგან მსწრაფლ მოქმედებდნენ. 7 საათზე რუსებმა და გერმანელებმა ერთად აიღეს ჩინეთის პოზიცია 22 ზარბაზნით. გერმანიის პოზიციებს თორმეტ საათამდე ყუმბარებს ესროდნენ სიმაგრეებიდან, მაგრამ მერე მიჩუმდნენ. დაღლილი ჯარი პირველ საათზე წავიდა თავიანთ სადგომებში. 1 ივლისს, დილით, უზედომი ორის სათადარიგო როტით ქალაქის ჩინეთის ნაწილში იყო, რომელიც უკვე დამწვარია და გაოხრებული. ქალაქის დაბყრობაში მეტი მონაწილეობა მიიღეს იაპონელება. უკანასკნელ ხანში ჩინეთის არტალერიას უმატებენ და უფრო მედგრად და კარგად ისვრიან, ასე რომ ყუმბარები ხშირად ხვდებოდა შედარებით უკეთ მოფარებულ გერმანიის საკონსულო სახლს, ბანკს და კლუბს, სადაც იმყოფებოდნენ გერმანიის დაჭრილნი. ამან ხელი შეუშალა ჯარის დასვენებას. გერმანიის იმპერატორის ბრძანება, რომელიც შეეხება პეკინში მყოფ უცხოელთა გამანთავისუფლებლების დასაჩუქრებას, ყველა ეროვნების ხალხმა დიდის სიამოვნებით მიიღეს. ეს ბრძანება აქ გაავრცელა ტიანცზინის იაპონიის კონსულმა, რომელიც დარწმუნებულია იშოვის შიკრიკებს პეკინში ბრძანების წასაღებად. 2 და 3 ივლისს მოვიდნენ კიდევ 1,000 იაპონელი (აქ მოსასვლელი დივიზიის პირველი ნაწილი). 3 ივლისს მოვიდა პირველი გემი ინდოეთის ჯარით.

**ლონდონი.** როგორც ისმის, ძლიერ არის გაზვიადებული ის ხმა, რომ ნინპოში ამბოხებაა. ჩინელები შეშინებულნი არიან. ეს შიში გამოიწვია ტიანცზინში ჩინელების დახოცვის ამბავმა. ქალაქის მმართველობამ უცხოელთა უბნებში მყოფ ჩინელთა დასამშვიდებლად გამოსცა პროკლამაცია, რომელმაც კარგი გავლენა იქონია.

**შანჰაი.** ხუნანისა და ხუბეის გუბერნატორები თავიანთი ჯარებით მიდიან პეკინში.

---

## ოფიციალური და სხვა ცნობები

### ჩინეთში არეულობის შესახებ

∝ რუსეთის ელჩი ვაშინგტონში გრაფი კასსიხი, რომელიც წინეთ ელჩად იყო ხუთი წლის განმავლობაში პეკინში, უცხოელთა საელჩოების შესახებ ჩინეთში შემდეგ აზრს ამბობს: მე ძალიან მეშინია, რომ საელჩოები ეხლა აღარ არსებობენ. ჩინურ წყაროებს ამ შემთხვევაში არა დაეჯერებათ-რა. რომ ვინმე ევროპიელი ცოცხალი იყოს, შეუძლებელია, რომ აქამდე ერთი პატარა ცნობაც კი არ მიეწვდინათ ევროპიელებისათვის ტაკუდან: პეკინში ყოველთვის შეიძლება იშოვოს კაცმა ისეთი ჩინელი, რომელიც ფულის გულისთვის ადვილად შეასრულებდა ამ საქმეს. რაც უნდა იყოს, თუ გადარჩა რომელიმე საელჩო, ეს რუსეთისა და ინგლისის იქნება: ესენი ერთად დგანან, მაგარი კედლები არტყიათ და შეიარაღებულნიც კარგად არიან, თუ თოფის წამალი არ აკლიათ.

გრაფის მთელი იმედი გენერალ ჩინგზეა დამყარებული, თუ მართალი გამოდგა ის ხმა, რომ იგი კონტრ-რევოლიუციის მოთავე შეიქნა. გრაფი პირადად იცნობდა ჩინგს, როცა ეს უკანასკნელი ცზუნგ-ლი-იამენის თავმჯდომარე იყო და სთვლის მას მეტად ენერგიულ მოღვაწედ. მაგრამო, უმატებს გრაფი, ყველაზე საიმედო ჩინელ მოღვაწეებში ლი-გუნ-ჩანგი არისო. ამან კარგად იცის ძალა და მნიშვნელობა და ისიც, რომ, რაც უნდა დაჯდეს, ევროპა თავისას გაიტანს. ამასთანავე ლი-ხუნ-

ჩანგი მეტად ჭკვიანი და გაბედული კაცია.

პეკინამდე ეხლა მიღწევა შეუძლებელია,—ამბობს გრაფი,—რადგანაც ეხლა დიდი წვიმები იწყობა და მთელი ჩილის პროვინცია ამ დროს ნამდვილ ტბას ემსგავსება. 5—6 კვირა კოკისპირული წვიმა არ შეწყდება, მდინარეები ნაპირს გადაელჯნ და აბა ჯარს სად შეუძლია პეკინამდე მიტანაო.

გრაფმა შემდეგი აზრი გამოსთქვა შესახებ ინგლისელების პლანისა: იაპონიას მივანდოთ ჩინეთის დამშვიდების საქმეო. „ციფირებით რომ გამოვხატოთ სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ინტერესი ჩინეთში, რუსეთის ინტერესი შეადგენს 90 პროცენტს და დანარჩენ სახელმწიფოების კი 10%. ჩვენი უკან ჩამორჩენა და იაპონიისათვის პირველი ადგილის დათმობა ნიშნავს ჩვენი პრესტიჟის სრულებით მოსპობას შორს აღმოსავლეთში; აქ კი პრესტიჟი მნიშვნელობის ნახევარს შეადგენს. თუ არის სახელმწიფო, რომლის გავლენას ჩინეთში ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, ეს იაპონია. მარტო იაპონიას შეუძლია განახორციელოს პანმონგოლისმის იდეალები, და მაშინ კი ევროპას მეტად ცუდი საქმე მოუვა“.

≺ უკანასკნელი ცნობებით, იაპონიას ჩიფუში გადაუსვამს 22,000 ჯარის კაცი და 5000 ცხენი. ამბობენ, რომ ჯარი მშვენიერად არის მოწყობილი და შეიარაღებულიო. მას აქვს 36 მარტირა, 120 მინდვრის ზარბაზანი; მშვენიერად მოწყობილი 2 ლაზარეთი 50 ექიმით, ჰყავს საპიორების და პაგრონავტების თითო რაზმი. 3 იელისისათვის იაპონიას უნდა გადაეყვანა ტაკუში 13,000 კაცი და 7 იელისისათვის კი 10,000. ასე რომ იაპონიას დღეს უნდა ჰყავდეს ჩრდილოეთ ჩინეთში 45,000 კაცი.

≺ პრინც ტუანს შემდეგი პროკლამაცია გამოუქვეყნებია: „ჩვენ ეხლა იმ მდგომარეობაში აღარ ვართ, როცა მტერი თავს დაესხა მოულოდნელად ჩვენ მშვიდობიან ხალხს და პეკინის კედლებთან დახოცა ათასობით ჩინელი. ეხლა ჩვენ ბლომად გვაქვს კარგი თოფები და ზარბაზნები. ჩვენ უხვად დავაჯილდოვებთ, ვინც კი მონაწილეობას მიიღებს ამ წმინდა ბრძოლაში: ყველა ისინი, ვინც ფიცს არ უღალატებენ, მიიღებენ ბლომად ბრინჯს და ცხელ ღვინოს, რათა ისინი ძლიერნი და მამაცნი იქმნენ ბრძოლის დროს. უცხოელები დაბალი ტანისა და სუსტები არიან, მათ არ შეუძლიანთ ჩვენ გაგვიმაგრდნენ. ერთის დაკვრით მოვსპობთ ყველას. დაჰკარით, ერთი არ გაუშვათ ცოცხალი.“

# ახალი ამბავი

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზე კანდიდატად, როგორც გავიგეთ, ასახელებენ **ალექსი ბესარიონის ძეს ჭიჭინაძეს**, რომელიც ეხლა სახალხო სკოლების ინსპექტორად არის კავკავში. მეტად სასიამოვნო იქმნება ყველასათვის, თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, რადგანაც ბ. ალ. ჭიჭინაძეს ყველა იცნობს, როგორც მცოდნე პედაგოგს და ძლიერ გამოცდილ ადმინისტრატორს სკოლისას.

✦ განზრახვა აქვთ გააუმჯობესონ იმ წიგნების ქართულად თარგმნისა და გამოცემის საქმე, რომელნიც სამრევლო სკოლებში და სახალხო სამკითხველოებში არიან საჭირონი.

✦ მცხეთის სასოფლო საზოგადოება შუამდგომლობს სათანადო მთავრობის წინაშე, მიეცეს მას სესხად სასოფლო სამეურნეო თანხიდან 1500 მანეთი სხვა-და-სხვა სასაზრდოვო საჭიროებათათვის.

✦ მომავალ 1901 წელს მისი უდიდებულესობის დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასულის მფარველობით პეტერბურგში გაიმართება **სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენა**. ამიტომ კავკასიის მთავარ-მართებელმა მისწერა გუბერნიების, ოლქების და სხვა უფროსებს, გააცნონ ადგილობრივი მცხოვრებნი გამოფენის მიზანს და პროგრამმას. გამოსაფენი ნაწარმოებნი გაგზავნილ უნდა იქმნან პეტერბურგს ამ წლის 15 დეკემბრიდან მომავალ 1901 წლის 15 იენისამდე. ვინც გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველია, უნდა აცნობოს ეს სურვილი მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებას.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აცხადებს, რომ **მართლმადიდებლობის სასწავლებელში** (училище прововѣдѣнія) არის **ორი თავისუფალი კავკასიის სტიპენდია**. ამ სასწავლებელში მიიღებიან ჩამომავლობით აზნაურთა, სამხედრო პირთა, რომელთაც პოლკოვნიკის ჩინზე ნაკლები არა აქვთ, და სიმოქალაქო მე-5-ე კლასის მოხელეთა შვილები. თხოვნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სახელზე უნდა გაიგზავნოს.

✦ საქონლის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად და დახოცილ საქონელთა პატრონების ზარალის შესავსებლად, ტფილისის გუბერნიის უფროსს მიეცა 10.000 მანეთი.

✦ ხარკოვის გუბერნიის საფაბრიკო ნაწილის ინსპექტორს ბ. **გნედიჩს**, რომელიც ბაქოში იყო და ეხლა განჯაშია, მინდობილი ჰქონია მთავრობისაგან გაეცნოს კავკასიის საფაბრიკო და საქარხნო დაწესებულებს, რადგანაც განზრახვა აქვთ 1901 წლის პირველ იანვრიდან **შემოიღონ კავკასიაში საფაბრიკო ინსპექციის შესახები კანონი**.

✦ კავკასიის **საბეითალო ნაწილის გამგე ბ. რემერი** წასულა სამურის ოლქში იქ გაჩენილ საქონლის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

✦ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ჩებიში სამი წლით კიდევ დასტოვეს სამსახურში.

✦ დიდი მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულის მეორე საქალებო გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ აგვისტოში მოსწავლენი მიიღებიან მხოლოდ მოსამზადებელ და პირველ კლასებში, რადგანაც დანარჩენ კლასსებში თავისუფალი ვაკანსია არ ყოფილა.

✦ იმ პოლიციელთ, რომელთაც მოულოდნელად დასჭირდებათ ავაზაკების დასაჭერად რკინის გზით გამგზავრება, ბილეთის ფული კი არ აქვთ, ან ამ დროს მარტო მუშა მატარებელი მიდის, ნება ეძლევათ უბილეთოდ იმგზავრონ ყველა მატარებლებით, მხოლოდ თავიანთი სახელი და გვარი და ადრესი უნდა შეიტანონ მატარებლის ჟურნალში.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# ვამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | 8½ კ. |
| სუკი . . . . . . | › | — 15 კ. |
| › ცხვრისა . . . | › | — 8½ კ. |
| › ღორისა . . . | 1 | — 8 კ. |
| › კამეჩისა › › | › | — 8 კ. |
| › ღორის ზარგალი სალორჯო . | 1 › | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. 5 | კ. |
| › › | II | › | › | › 3½ | › |
| › › | III | › | › | › 3 | › |
| იგივე თონისა | I | › | › | › 5 | › |
| › › | II | › | › | › 4 | › |
| › › | III | › | › | › 3½ | › |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | › | › | › 6 | › |
| › › | II | › | › | › 4 | › |

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, გლისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

სავოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59

წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი** № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი** № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი** № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი** № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 მორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან მორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; მორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 მორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან მორაპანში გადის 10 ს. 10. საღ. წ.; მორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, 1900 წ. 10 ივლისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაობის მილის გასაკეთებლად აწ არსებულისაგან ოლღის ქუჩაზე სმეტცოვის ქუჩით სანგალდიანცის სახლამდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის ანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 20 ივლისს 1900 წელს ნაცვლად არ-მომხდარ ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა მიწის იჯარით გაცემაზე. მიწა იმყოფება პოლიციის მე-7 ნაწილში, ქ. ტფილისში, ავლაბარში, სივრცით 23 დესიატინაა და შეიძლება ვაჯის დაწვა.

ვისაც სურს ნახოს ვაჭრობის პირობები, შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 8 საათიდან 1 საათამდე. (ნ 3—2)

**სემინარიელი**

ამზადებს შეგირდებს სემინარიისთვის, სასულიერო, სამოქალაქო, სატეხნიკო და სხვა სასწავლებლებისთვის.

2 Кобійскій тупикъ (около Пхнетской ул.), д. № 44.

5—5

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა კრეგლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | —10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | —70 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| იგივე III ტომი | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | —80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | —60 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1 | —50 |
| რძე მისივე | 1 | —50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | —80 |
| დასტურ-ლამა | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I სახრო კრება | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 | „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. | 60 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 | „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტე | 1 მ. 20 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 | „ |
| ბრბუალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 | „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 | „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюля 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.